საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14104363, 03/11/2014 19:53:59

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს გეა ინვესტი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405069802
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	03/11/2014
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყიფშიძის ქ., №2, კორ. 2, ბ.103
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	zdolenjashvili@mail.ru

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 60001029460, ზურაბ დოლენჯაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
60001029460, ზურაბ დოლენჯაშვილი	100.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება
გადახდის განვადებით

ქ. თბილისი 21 ნოემბერი 2014 წელი

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

ედუარდ ნონეზოვი (პირადი № 01001016353)

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც „გამყიდველი,"
გაყიდა და

შპს გეა ინვესტი (ს/ნ № 405069802 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქუჩა №2, კორ.2 ბინა 103), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ დოლენჯაშვილის სახით (პირადი № 60001029460), რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მყიდველი,"

იყიდა გამყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე: ქალაქ თბილისში, ზემო ვეძისის ქუჩა №123,(ნაკვეთი №11/16) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 423 (ოთხას ოცდასამი) კვ.მ. მიწა (საკადასტრო კოდი №01.10.18.011.016) მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით №1, №2, №3, №4 და №5.

ნასყიდობის საგანზე გამყიდველის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან №882014619281, მომზადების თარიღი 19/11/2014 წელი.

ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 105000 (ას ხუთი ათასი) ლარით.

ნასყიდობის საგნის ღირებულებიდან 62223 (სამოცდაორი ათას ორას ოცდა სამი) ლარის, მყიდველის მიერ გამყიდველისადმი გადაცემა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერისთანავე, გამყიდველის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის მეშვეობით.

ნასყიდობის საგნის ღირებულების გადაუხდელი ნაწილის 42777 (ორმოცდაორი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის სანაცვლოდ, მყიდველი გამყიდველს საკუთრებაში გადასცემს ამავე მიწაზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან საცხოვრებელ ბინას (მახასიათებლებით: ბინის ფართობი 62 კვ.მ. (+ - 2კვ.მ.), სართული მე-2, აღმოსავლეთ მდებარეობა. ჩასაბარებელი ბინის მდგომარეობაა: აშენებული ტიხრები; გალესილი კედლები; მოჭიმული იატაკი; წყალი, კანალიზაცია, დენი მიყვანილი ბინამდე, ელექტრო გაყვანილობა ჩალაგებული ჩამრთველებისა და შტეფცელების გარეშე, ფასადი გალესილი და შეღებილი, მეტალოპლასმასის თეთრი ფერის გარე

კარფანჯრები ჩასმული.), აღნიშნულ ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) კალენდარული თვისა. ამასთან ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარულ წელს (21.11.2016).

მშენებლობის პროცესში მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გამყიდველი საცხოვრებელი ფართით (ან გადაუხადოს ბინის ქირა) მასზე ჩასაბარებელი ფართის გადაცემამდე.

გამყიდველი ვალდებულია მშენებლობის ნებართვის აღებისთანავე, მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დაცალოს მის მიერ ამჯამად დაკავებული მიწის ფართი.

მყიდველის მიერ 62 კვ.მ. საცხოვრებელ ფართზე ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაფიქსირებული თანხა, ხოლო მყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს.

უძრავ ნივთზე მყიდველის საკუთრების უფლება წარმოიშობა ამ ხელშეკრულების საფუძველზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. იგი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა, მყიდველმა მოიწონა მისი მდგომარეობა და ხარისხი. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩენილი ნაკლის გამო, თუ ამ ნაკლის თაობაზე მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადების მომენტში.

მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე გადახდის განვადებით უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას დავას განიხილავს სასამართლო, კანონით დადგენილი წესით.

წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სრულიად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

გამყიდველი .....

გამყიდველის სახელი და გვარი გარკვევით ხელმოწერა

მყიდველი .....

მყიდველის სახელი და გვარი გარკვევით ხელმოწერა